PDF Eraser Free

დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯი „ფაზისის“ მიერ „მებაღეობის“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ლევან მადათოვი

წევრი:

ქეთევან გელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის MES 1 21 0000301225 ბრძანების შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე - ლევან მადათოვი, წევრი - ქეთევან გელაშვილი) დაევალა სსიპ - კოლეჯ ,,ფაზისის" მიერ ,,მებაღეობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შესწავლილ იქნა დაწესებულების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, შემუშავდა დისტანციური გასაუბრების განრიგი. ონლაინ ჩართვა დაწესებულებასთან შედგა 2021 წლის 22 აპრილს. გასაუბრება შედგა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან. ხარისხის უზრუნველყოფაზე, ასევე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მოხდა მატერიალური რესურსების, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება და შედგა გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ონლაინ შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია ამ ს-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 2021 წლის 12 მარტის ბრძანება N 01/16
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ნოჯიხევი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	141
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	171
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ კოლეჯ „ფაზისის“ მისიაა თეორიული და პრაქტიკული სასწავლო საქმიანობის განხორციელებითა და ხარისხიანი ინოვაციური განათლებისა და უნარების მიწოდების გზით მიზანდასახული, კონკურენტუნარიანი და მაღალი ზნეობის ადამიანების მომზადება.**

დაწესებულებამ წარმოადგინა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელიც ეფუძნება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტს. პროგრამის დამატების გადაწყვეტილება შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2013 წელს საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის „პრობლემები და განვითარების პოტენციალი“ საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოსახლეობას განსაკუთრებით პერსპექტიულად, სასათბურე მეურნეობა მიაჩნია. კვლევის თანახმად, თემში გამოკითხული მოსახლეობის მიერ დასახელებულ პრობლემებში ერთ-ერთი მთავარი, სწავლა-განათლების, ახალი ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენის მწირი შესაძლებლობებია. ამდენად, დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, მოსახლეობას პროფესიული განათლების მიღების სურვილი აქვს. დღეს, სსიპ კოლეჯს ,,ფაზისი“, აქვს შესაძლებლობა, ხობის მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დასაქმებისა და თვითდასაქმების კუთხით ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის. კოლეჯის მიერ, მიმდინარე ეტაპზე განხორციელებულმა ადგილობრივი ბაზრის კვლევამ (კითხვარი - „სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესასწავლად“) გამოავლინა ხობის მუნიციპალიტეტში კონკრეტულ საწარმოებში და ფერმერულ მეურნეობებში კონკრეტული კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რომლებიც შესძლებენ მებაღეობის მიმართულებით საქმიანობას.

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ „მებაღეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი მოდულურ პროგრამაზე და საბაზო განათლების მქონე პირი ინტეგრირებულ პროგრამაზე. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია სსიპ კოლეჯი „ფაზისი“–ს სასწავლო პროცესის მარეგურილებელი დოკუმენტით „პროფესიული სტუდენთა დებულება“ სადაც განსაზღვრულია: აპლიკანტთა მიღების გამოცხადება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურები. ამავე წესითაა განსაზღვრული ასევე პროფესიული სტუდენტის მობილობის, სწავლის შედეგების აღიარებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები, კერძოდ: დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: სასწავლო გარემოს ფართი, დაწესებულების მუშაობის გრაფიკი. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია სსიპ კოლეჯი „ფაზისი“–ს სასწავლო პროცესის მარეგურილებელი დოკუმენტით „ პროფესიული სტუდენთა დებულება“ სადაც განსაზღვრულია: აპლიკანტთა მიღების გამოცხადება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურები. ამავე წესითაა განსაზღვრული ასევე პროფესიული სტუდენტის მობილობის, სწავლის შედეგების აღიარებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მებაღეობა“ (მოდულური და ინტეგრირებული მიდგომით)** მიზნებისათვის ხობი / ნოჯიხევის განყოფილებაში გათვალისწინებული აქვს სივრცე თეორიული სწავლებისათვის - 67,67 კვ.მ, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით 20 პროფესიულ სტუდენტზე: სამუშაო მაგიდა, სკამი).

გარკვეული მოდულების შესაბამისი პრაქტიკული სწავლის შედეგების განხორციელება და დადასტურება მოხდება პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. დაწესებულებაში B სასწავლო გარემოში არის 20 სამუშაო ადგილი 20 პროფესიულ სტუდენტზე.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„მებაღეობა“ (მოდულური მიდგომით და ინტეგრირებული)** გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს (მოდულური-15 პროფესიული სტუდენტი, ინტეგრირებული -15 პროფესიული სტუდენტი)

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო. კოლეჯის სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციაებთან: [redacted] შპს,, ხარება“ პრაქტიკული პროფესიული მოდულების განხორციელებისა და სწავლის შედეგების აღნიშნულ საწარმოში დადასტურების მიზნით.

პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროგრამას არჩევითი მოდული არ გააჩნია.

6. პსდ კოლეჯ „ფაზისის“ წესდების მიხედვით (მუხლი 5 ქვეპუნქტი „ვ“) დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოსცემს ბრძანებებს. დაწესებულებას N 04-68 ბრძანებით (29.05.2020) დამტკიცებული აქვს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესი და პროცედურები, რომლის მუხლი 2-ით (მე-5 ქვეპუნქტი) განსაზღვრულია, რომ მოდულურ პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, ხოლო დასამტკიცებლად წარადგენს ხარისხის დირექტორის მოადგილე. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება ხდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ 2021 წლის 18 მარტის N 04-31 ბრძანებით.

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7.საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია საგანამანთლებლო სტანდარტისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა. შესაბამისად,

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტი (საგანმანათლებლო სტანდარტი) „მებაღეობა“, სარეგისტრაციო ნომერი: 08111-პ; პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია - პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ (დირექტორის ბრძანება N 01-98 05.08.2019);
- სასწავლო გეგმა 1; სასწავლო გეგმა 2;
- კოლეჯის „ფაზისის“ წესდება;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა შვიდწლიანი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პსდპროფესიული კოლეჯის „ფაზისი“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პსდკოლეჯ „ფაზისის“ მოდულური პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებული დირექტორს ბრძანება N 01-15 26.02.2020);
- ინტერვიუირება კოლეჯის წარმომდგენლებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დისტანციური ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „მებაღეობას“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი აქვს 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A გარემო და ამდენივე სტუდენტზე გათვლილი შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფილი B გარემო. დაწესებულებას ასევე აქვს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ლაბორატორია. კერძოდ დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 20 პროფესიულ სტუდენტზე, 1 კომპიუტერი, 1დაფა, 1პროექტორი, 1 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი) და 1 –ი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდ-ს მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. მებაღეობას პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას 4 ზოგად მოდულზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 4 პროფესიულ მასწავლებელთან, პროფესიული დარგობრივ მოდულებზე - 5 პროფესიულ მასწავლებელთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულებისთვის - 7 პროფესიულ მასწავლებელთან. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას დაწესებულება ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, კალენდარული გეგმის შედგენა და სხვ. პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომელიც სასწავლო გეგმაში და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებშია გაწერილი არ სცდება დაშვებულ ნორმას.

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ პროფესიულმა მასწავლებლებმა უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვა.

დაწესებულება ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების პროფესიულ განვითარება/კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს. პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგება ხორციელდება ერთის მხრივ დაწესებულების შიდა რესურსით, ხოლო მეორეს მხრივ მათ გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგები. სრული პედაგოგიური კურსი: I მოდული: სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში; II მოდული: პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში; III მოდული: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები; IV მოდული: კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში; V მოდული: პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა პროფესიული განვითარება.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება და მას ევალება კოლეჯში სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება, მეთოდოლოგიური კონსულტაციების გაწევა პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ წერილობითი ანგარიშის წარდგენა.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომისტ-ორგანიზატორის დიპლომი და სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (19.03.2021 სამუშაო შეხვედრის ოქმი), რომელიც გულისხმობს დარგობრივი კვალიფიკაციის ქონას ან მუშაობის სამწლიან გამოცდილებას.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუსა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია დაწესებულების ბიბლიოთეკაში. ექსპერტების მიერ დისტანციურად ვიზუალური დათვალიერებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულებაში არის ელექტრონული ბიბლიოთეკა - Open Biblio საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში და სველი წერტილები.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მექანიზმი“ , სადაც გაწერილია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცედურები. დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მასწავლებელი მიმართავს კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, მათი მეშვეობით ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და აქედან გამომდინარე გეგმის შედგენის საჭიროება, რის შემდეგაც კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის კომისიას, რომელიც ახდენს ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას თითოეული მოდულის/სწავლის შედეგის ფრაგლებში სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. საბოლოოდ შემუშავებული ინდივიდუალური გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი კონკრეტულად სსსმ პირებისთვის განსაზღვრულია სსიპ კოლეჯი „ფაზისი“–ს სასწავლო პროცესის მარეგურილებელ დოკუმენტში „პროფესიული სტუდენთა დებულება“ საიდანაც ვგებულობთ, რომ დაწესებულებაში არსებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ სტუდენტის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, სტუდენტის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას საჭიროების შემთხვევაში ქმნის სსსმ პირის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს ერთ კვირაში, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციას სსსმ სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით (დასკვნის შესაბამისად).

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელურ სტუდენტთა რაოდენობა. დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. შემოსავლების ნაწილში ვაუჩერი პროფესიულ სტუდენტზე და პროგრამული დაფინანსება ჯამში - 241986 ლარი ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას (56130 ლარი); სასწავლო მიზნისთვის გაწეულ ხარჯს (43440); ადმინისტრაციის ხელფასს (99720 ლარი) და სხვადასხვა ხარჯს (42696 ლარი). რენტაბელობის ზღვარი არის 11 სტუდენტი.

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“(დირექტორის ბრძანება N 01-98 05.08.2019);
- განაცხადით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- პსდპროფესიული კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა, პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე.

შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, რომელიც გამოავლენს საუკეთესო ადგილობრივ/საერთაშორისო პრაქტიკას, აწარმოებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს მოდულური პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამატების წესი“ (დამტკიცებული დირექტორს ბრძანება N 01-15 26.02.2020) სადაც გაწერილი საგანამანათლებლო პროგრამის განვითარების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების,შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილებების ინიცირება (სამუშაო ოქმის სახით) შეუძლია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში დირექტორის მოადგილეს, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამი ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პირს, პროფესიულ სტუდენტს.

დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდკოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის 2020 წლის 11 ივნისი ბრძანება N04-77 ” სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N04-70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ”
- პსდკოლეჯი „ფაზისი“-ს დირექტორის 2018 წლის 16 აგვისტოს ბრძანება პსდპროფეასიული კოლეჯი „ფაზისი“-ში მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ.
- პსდკოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-68 „პსდპროფესიული კოლეჯი „ფაზისი“ მოდულური პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ კითხვარები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. ქართულენოვანი სტუდენტებისასთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 60 სასწავლო კვირა, 85 კრედიტის ოდენობით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 81 სასწავლო კვირა 115 კრედიტის ოდენობით. ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისასთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 120 სასწავლო კვირა, 141 კრედიტის ოდენობით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 145 სასწავლო კვირა 171კრედიტის ოდენობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მოდულებს აღნიშნულ პროგრამაში არ აქვს წინაპირობები. სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესში, გაწერილია წინაპირობიანი მოდულის განმეორებით ჩაბარების ვადები. უარყოფითი შედეგის მიღების შემთვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ. მოდულის განმახორციელებელი პედაგოგი პროფესულ სტუდენტს აწვდის ინფორმაციას შედეგის დადასტურება/არდადასტურების შესახებ შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს სამი დღისა (წინმსწრები მოდულის შემთხვევაში არაუგვიანეს მეორე დღისა).

პროფესიულ სტუდენტს ჩატარებული შეფასების შედეგად მიღებული შედეგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს მიღებული შედეგი, რის შესახებაც პროფესიულმა სტუდენტმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს წერილობითი განაცხადით. (წინმსწრები მოდულის შემთხევაში იმავე დღეს). კოლეჯის დირექტორი ორი სამუშაო დღის ვადში იწვევს სააპელაციო კომისიას საკითხის განსახილველად. კომისია განიხილავს (საკმარისი/ავთენტური მტკიცებულებების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება) და მიღებულ გადაწყვეტილებას არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯრი აცნობებს პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს.

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

2. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება. „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესისას და პროცედურების დამტკიცების

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3.„მებაღეობას“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების პროფესიულ განვითარება/კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

4.კოლეჯი პროფესიული პროგრამების შეფასებას ახორციელებს პროფესიული პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საშუალებით. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები რეგულარულად ესწრებიან ლექციებს პრაქტიკულ მეცადინეობებს, მეცადინეობებზე და შეფასებაზე დასწრების ფორმების საშუალებით, ასევე აწარმოებენ პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას შემუშავებული კითხვარის საშუალებით, საჭიროებისამებრ ხორციელდება ჯგუფის წევრები და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეხვედრები, შეხვედრის მიზანია სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზების და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების განხილვა და მათი აღმოფხვრის გზის დაგეგმვა/განხორციელება. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

5. პრაქტიკული პროფესიული მოდულებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები [redacted] შპს,, ხარება,,. მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაცია თანხმდება და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მოდულების გავლას და სწავლის შედეგების დადასტურებას. მოდულების და სწავლის შედეგების ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის მემორანდუმს. პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს 20-20 სტუდენტის მიღებას, რეალურ გარემოში ჩართვას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სწავლის შედეგების დადასტურებასა და კოლეჯის მხრიდან გამოყოფილი პროფესიული მასწავლებლის ხელშეწყობას. რაც ასევე დადასტურდა გასაუბრების შედეგადაც.

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ სპეციფიკა და სასწავლო გარემო უსაფრთხოების რაიმე განსაკუთრებულ პირობებს არ ითვალისწინებს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესი (დამტ. 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-70)
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ (დირექტორის ბრძ. N 04-31 18.03.2021)
- სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციასთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესში (დამტ.2020 წლის 29 მაისს) გაწერილი აქვს შეფასების სისტემის მიმართ არსებული მოთხოვნები. შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭირვალე,სამართლიანი და ობიექტური.

კერძოდ: პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური სახით - მტკიცებულებებით,მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.მტკიცებულებები გროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, მის შენახვას და მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერი. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს. შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე. ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს; მიუკერძოებელი და სამართლიანი შეფასებისთვის,შეფასებაში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები.

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. დაწესებულებას სწავლის შედეგების შეფასების წესში გაწერილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. პროფესიული განათლების მასწავლებელს/პროგრამის ხელმძღვანელს მიერ შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემდეგ ვალიდაციას აკეთებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შედის: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი; ვერიფიკაციის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ახდენს ვერიფიკაციის პროცესის კორდინაციას და პასუხისმგებელია ვერიფიკაციის როგორც პროცესზე ასევე შედეგზე;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3.დაწესებულებას სწავლის შედეგების შეფასების წესში გაწერილი აქვს, რომ უწყისის ფორმას შეიმუშავებს კოლეჯის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი; სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ. უწყისის შევსებისა და გაფორმების პროცესს აწარმოებს და აკონტროლებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;

პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. ექსპერტთ შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- „სწავლის შედეგების შეფასების წესი“
- მოდულის განხორციელების და შედეგის დადასტურების შეფასების კითხვარები
- პსდპროფესიული კოლეჯი „ფაზისი“-ს დირექტორის 2018 წლის 16 აგვისტოს ბრძანება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი

31.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---